კვირა, 13 აგვისტო 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6.

ფასი 25 კაპ.

ეშმაკი

№ 33

(მ ა თ რ ა ხ ი) 1917

გამოცემლობან.

ჟურნალი „ეშმაკის მათრახის“ გამომცემლობა იძულებული ხდება კვლავ გაადიდოს ჟურნალის ფასი მაურით, 20 კ. მაგივრათ 25 კ., ეს არასასურველი გარემოება გამომცემლობისა გამოწვეულია მასალის და მუშახელის საგრძნობლათ გაძვირებისაგან. ერთი თვის წინათ აწყობა ჟურნალისა ღირდა 80 მ., დღეს 150 მ., ქაღალდი—11 მანეთი, ეხლა 21 მ., შექმნილ პირობებში გამომცემლობმს დეფიციტი აქვს; მას ორი გამოსავალი დარჩა: ან შეჩერება ჟურნალის, ან ფასის მომატება.

ჩვენ უკანასკნელი ვარჩიეთ.

კანტორა „განათლება“.

როგორ აღადგინა ეშმაკმა სამხედრო მინისტრის ავტორიტეტი (იხ. წერილი „ეშმაკის ოინი“).

ეშმაკის ოქინი

ცხრა დღე იჯდა. ცხრა დღის განმავლობაში მას არ გაუცინია. ცხრა გრძელი ზაფხულის დღე გაატარა მან უქმელ-უსმელმა. ცხრა დღის განმავლობაში მას თავი მაღლა არ აუღია; ცხრა დღე ქმუნვასა და ფიქრში იმყოფებოდა.

ეშმაკს საზოგადოთ უყვარს ყველაფერი „დროებითი“, ვინაიდან ქვეყნად ყოველივე დროებითია, მაგრამ „დროებითი მთავრობა“ პირდაპირ მისი სიყვარულის საგანს შეადგენს. ძველი უდროული მთავრობაც კი უყვარდა მას, რომ გასაკვირი არ დარჩეს ახალისა და დროებითის სიყვარული.

იჯდა ეშმაკი და ცხრა დღე ფიქრობდა, თუ როგორ აღედგინა რევოლიუციინურ ჯარის თვალში ავტორიტეტი დროებითი მთავრობისა. დისციპლინა რამდენი ხანია რაც გარდაიცვალა და ის ხომ ერთად-ერთი საშუალება იყო სიყვარულის მოსახვეჭათ. მართლაც, როგორ უნდა შეგიყვარო თუ არ გამრიზგე, თუ ცხენში არ ჩამაგდე, თუ არ ჩამომახრჩვე, ან არ დამხვრიტე? სიყვარულის გრძნობა ხომ უნდა ეყრდნობოდეს რაიმე ფიზიკურ საფუძველს. უტოპია ხომ არ არის, რომ ჰაერში გამოკიდული არსებობდეს?

დროებით მთავრობაში სამხედრო მინისტრი ყველაზე მეტათ ეცოდვება მას. რევოლიუციონური ჯარი, ეს ხომ სამხედრო მინისტრის საფუძველია.

ვიდრე ეშმაკი ფიქრად დაჯღებოდა, მან მოინახულა ათასი მიტინგი, ათი ათასი კერძო თავისუფალი მხედარი და ამგვარათ გაეცნო მათ მისწრაფებას, მათ მოთხოვნილებებს, მან გაიგო, თუ რა აამებს და რა აბრაზებს ჯარს, რას ეტრფის და რას გაურბის იგი, რა იზიდავს და რა აფრთხობს მას.

მიუხედავათ ამისა ცხრა დღე და ღამე იჯდა ეშმაკი, და ყოველივე თავის აზრს ცხრა-ცხრაჯერ ზომავდა. იჯდა და ფიქრობდა:

— რა ვქნა, როგორ ეუშველო, რით აღვადგინო ავტორიტეტი დროებითი მთავრობისა, რით მოვუხვეჭო მხედართა სიყვარული სამხედრო მინისტრს...

და აი, მეცხრე დღის მიწურულში გონება მისი განანათლა ბრწყინვალე აზრმა. მის სახეზე ღიმილმა გაიბავარდა. ყველას იმედი მოგვეცა. მინისტრმა ეს ამბავი არ იცოდა, თორემ იმასაც სიხარულის ქარი აიტაცებდა.

ეშმაკი დაჯდა და დასწერა „ბრძანება ჯარისადმი“, რომლის ნაწილი ჩვენი ჟურნალის პირველ გვერდზე არის გაკრული. “ბრძანება“ სახელად ჰქვია, თორემ რა ბრძანება არის ეგ! გარდა იმ პირველი მუხლის, რომელსაც თქვენ სურათზე ამოიკითხავთ, ბრძანებაში კიდევ რვა მუხლი იყო.

ეშმაკი ჰპირდებოდა ჯარს ყოველგვარ შეღავათებს: მიწას 50 დესეტინას თითო სულზე; თითო ორ სართულიან სახლს ქალაქებში; თითოს ან ორ-ორ საცოლოს ომის გათავების შემდეგ. თითო ვედრა არაყს; თითო ბურჟუას მოჯამაგირეთ და სხვ. მრავალს. ბრძანებას ხელი მოაწერა მინისტრის მაგიერ, (ვინაიდან ახლა თავისუფლება არის და ყველას შეუძლია სხვისი სახელი მითვისოს) და გააკრა ქუჩებში.

უნდა გენახათ რა სიხარული გამოიწვია მან ჩვენს მხედრობაში. და როგორ გაზარდა მინისტრის ავტორიტეტი.

მორიელი.

ჰატარა ფელეტონი

ვაი პოლიტიკისაგან!

„კერძოთ ჩვენმა სიამ-3179 ხმა მიიღო... არჩევნებისათვის შეთანხმება გვქონდა უკრაინელებთან, არა იმიტომ, თითქო მათი ხმებით გვოფილიყოთ დაინტერესებულნი; ამ შემთხვევაში ჩვენ პოლიტიკური მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით“.

(სახალხო სიქმე № 19).

ჩვენი სამშობლოს უბედურების მიზეზს უმთავრესათ ის შეადგენდა, რომ არა გვყავდა გამოცდილი **პოლიტიკოსები**.

ეს ასე იყო ძველათ და თითქმის ასევეა ახლა, თუ სახეში არ მივიღებთ ერთად ერთ სანუგეშო მოვლენას, — სახელდობრ ჩვენს ქვეყანაში „სოციალისტ“-ფედერალისტთა გაჩენას.

მ. რთალია მათ გაჩენას მხოლოდ ცამეტიოდ წლის ისტორია აქვს, მაგრამ ისტორიაც არის და ისტორიაც.

ამ თორმეტი წლის განმავლობაში მათმა სახელმა ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ყურამდეც კინაღამ მიახწია. როგორც კი დაიბადა, პარტიას მაშინვე ემჩნეოდა, სადაც ადგილია, რომ ბედაური პოლიტიკოსი დადგებოდა, მაგრამ იმას, რაც მათგან დადგა, ვერავითარი გიჟური ფანტაზიაც კი ვერ წარმოიდგენდა.

თითოეული მათი ნაბიჯი ეს ბრძნული პოლიტიკური აქტია. ჩვენი ქყეყანაც სამართლიანად ამაყობს მითი და ჩვენი ხალხიც სამართლიანად ეკედლება მათ.

შედეგი მათი პოლიტიკური გამოსვლისა ეს თფილისის საარჩევნო ბლოკია.

პოლიტიკოსობა ეს, ერთგვარი სახეა ეშმაკობისა. კარგი პოლიტიკოსი საქმეს ძირში უყურებს. შენ რომ აქ გელაპარაკება გგონია, იგი ამ დროს ცხრა საჟენზეა ქვესკნელ ქვეშ და იქიდან უკავებს.

უბრალო მომაკვდავი ვერაფერსაც ვერ გაუგებს კარგ პოლიტიკოსს, ვინაიდან თუ პოლიტიკოსს გაუგე განზრახვა, ის მაშინ რაღა პოლიტიკოსია. ასეთი პოლიტიკოსი ბოლოკის კუდია და არა პოლიტიკოსი.

თფილისის ყველა პოლიტიკური პარტია შეაშინა იმ პოლიტიკურმა ნაბიჯმა, რომელსაც „ფედერალისტ-უკრაინელთა“ ბლოკი ეწოდება. შეაშინა იმიტომ, რომ ბლოკი საზოგადოთ საშიშარი რამეა და მერე ასეთი პარტიებისა ხომ კიდევ უსაშიშროესი.

სხკათა შორის ამ გარემოებამ ამხ. ეშმაკიც ძლიერ დააინტერესა. ის შეეცადა გაეგო ნამდვილი პოლიტიკური მიზეზი ბლოკისა, გაერკვია ფარული განზრახვა „სოც. ფედერალისტებისა“, რომელნიც იყვნენ ინიციატორნი ბლოკისა. მართლაც ხომ უნდა ჰქონოდა ამ ბლოკს რაიმე პოლიტიკური სარჩული?

მოსაზრება აქ მრავალგვარი შეიძლება:

ა) შეიძლება უკრაინელებთან ბლოკით ფედერალისტებს სურდათ კიევის დუმაში რამოდენიმე ქართველი ხმოსნის გაყვანა, რომ მათი საშუალებით დაიკონ ადგილობრივ ქართველ სტუდენტთა ინტერესები.

ბ) შეიძლება ფედერალიტებს ჰქონდათ ფარული განზრახვა თავისი მოძმე „ესერების“ პარტია გაეძლიერებია. ერთი ესერის გაყვანით და მით სოციალისტობის მოწმობის აღება გაეადვილებიათ.

გ) შეიძლება აგრეთვე (და დაინახავთ რომ ეს მუხლი მართალია) ფედერალისტებს სურდათ თავისი უძლურების დაფარვა სხვის გვერდზე ამოტუზვით ხომ გაგიგონიათ, ერთხელ თალგამი რო იკვეხოდა: მე და თაფლი ერთად ძლიერ გემრიელი ვართო.

თავის თავად ცხადია, რომ მეხედავათ ღრმა პოლიტიკური მოსაზრებისა, პირველი ორი მუხლი შეიძლება უარყოფილ იქმნას და განიხილოს მხოლოდ მესამე.

სოც. ფეტერალისტთა პარტიას კარგა ხანია შაქრის ავათმყოფობა სტანჯავს და ნელ ნელა ბუნებრივი სიკვდილისაკენ მიაქანებს. ერთი რამ შენიშნულია: რაც უფრო სუსტდება და უძლურდება აღნიშნული პარტიის ორგანიზმი, იმდენათ უფრო მკვეხარა და ბაქი-ბუქის მოტრფიალე ხდება იგი. საკუთარი თავითა დი საკუთარ ფეხებზე სიარული არც ისე ადვილი საქმეა და აი გაიჩარხა პოლიტიკა.

ახლა ძნელია გადაჭრით თქმა რისიმე. მაგრამ თუ ეშმაკის საგენტოს დაუჯერებთ, ის 3179 ხმა რომელიც ბლოკის სიამ მიიღო, ასე შეიძლება განაწილდეს.

1) უკრაინელები	— —	3002
2) ნამდვილი ფედერ.	—	153
3) თანამგრძნობნი	—	24
	ს უ ლ	3179

ნამდვილი ფედერალისტები არიან აგრეთვე ნამდვილი პოლიტიკოსები, ვინაიდან მათ თავისი 123 ხმით გააპარეს საბჭოში 2 ქართველი ხმოსანი. ესენი სულ პარტიის ლიდერები არიან.

კოლო.

† გიორგი ზდანოვიჩი.

31 ივლის, ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა ჩვენში და რუსეთშიც კარგათ ცნობილი გიორგი ზდანოვიჩი. რუსეთი იცნობდა მას როგორც მეორმოცდაათე წლის ერთ მძლავრ და ნიჭიერ რევოლიუციონერს. იმ ხანად რუსეთში მუშაობდა ორი სარევოლიუციო ჯგუფი —პეტროგრადში ჩაიკოვცების, სადაც ჩაიკოვსკის გარდა შედიოდა სოფიო პეროვსკაია, დები კორნილოვები, ლიზოგუბი, კლემენსი, კრაპოტკინი და კრავჩინსკი (სტეპნიაკ) მოსკოვში—ბაკუნინცების. ამ ჯაუფში იყვენ—ბარდინო, დები სუბბოტინები, ლიდია ფიგნერი, ჯაბადარი, ციციანოვი, დები ლიუბატოვიჩები და გ. ფ. ზდანოვიჩი. ერთ დროს მოსკოვის ჯგუფმა აქტიური მოქმედება დაიწყო. ამ ჯგუფის რევოლიუციონერებმა დაარსეს მუშათა გაზეთი,, მომუშავე„ ზდანოვიჩს ყველა ყურადღებას აქცევს, როგორც ჭკვიან და საქმის ერთგულ ადამიანს.

1877 წელს მოსკოვის პროცესის დროს გიორგი გაასამართლეს თავის ამხანაგებთან ერთათ კატორღა გადაუწყვიტეს. ამ პროცესმა მთელ რუსეთზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა; მაშინდელი რეჟიმი სატუსაღოებში და უმეტესათ კატორღაში ძნელი წარმოსადგენია. ზდანოვიჩი და მისი ამხანაგები აუტანელ ტანჯვა-წამებას იტანდენ ხარკოვის გუბერნიის პაჩენგის სატუსაღოში. ისინი ცალ-ცალკე კამერებში ყავდათ დამწყვდეული და მარტო წყალსა და პურს აძლევდენ. ამ ხანად ასეთ ჯალათურ რეჟიმის დროს ბევრი რევოლიუციონერი სატუსაღოში ჭლექით ავათ გახდა და მოკვდა, ბევრი ჭკუაზე შესცდა და ბევრმაც თავი მოიკლა.

გიორგი ზდანოვიჩმა და ზოგიერთმა მისმა ამხანაგებმა მედგრათ გადაიტანეს ეს ტანჯვა. ხალხის სიყარულით და მომავლის იმედით აღსავსე მათი ახალგაზდა, გული ვერ შეარყია თვითმპყრობლობის ჯალათების შექმნილმა ტანჯვა-წამებამ და ისევ ისე ახალგაზდური გატაცებით და იმედებით აღვსილებმა დასტოვეს ჯოჯოხეთური ციხის კარები. ციმბირიდან ზდანოვიჩი კავკასიაში დაბრუნდა, ქუთაისში დასახლდა და ლეგალურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. ის სწერდა ქართულ-ჟურნალ გაზეთებში ,,მაიაშვილი"-ს ფესევდონიმით. ამავე დროს ის პრაქტიკულ მუშაობასაც მისდევდა. მან შექმნა ,,ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭო'' სადაც ბოლოს ის აირჩიეს თავმჯდომარეთ. ამ თანამდებობაზე იყო ის უკანასკნელ დროს, დაუღალავათაც მუშაობდა, სანამ ულმობელმა ავადმყოფობამ ის ლოგინათ არ ჩაგდო და არ გამოასალმა წუთი სოფელს.

თუ კი მესამოცდა ათე წლების რევოლიუციონერები ღირსი არიან მოგონების და მათ მოღვაწეობას რუსეთი აფასებს, გიორგი ზდანოვიჩს მათში საპატიო ადგილი ეჭირება მუდამ.

ფ ო თ ი.

(არჩევნები).

ყოველი პარტია,
ჯგუჯი თუ პირები
კლუბები, დარბაზნი,
თუ ლობის ძირები—
ყველა და ყოველგან
ქადაგათ ამდგარა:
ყრმა, ჯელი, მოხუცი
შინ აღარ დამდგარა.
ხალხს ევლინებიან
ყველანი მხსნელათა!
მტერსა და მოყვარეს
გაარჩევთ ძნელათა.
გუშინ რომ **ყანდარმებს**
უკმევდა გუნდრუკსა,
დღეს „ესერთ" ბანაკში
განაგრძნობს ფუნდრუკსა.
გუშინ რომ იღვწოდა
იქ, პოლიციაში,
დღეს აგერ სეირნობს
„ესფერთა" სიაში.
გუშინ, რომ „ოხრანკას"
აძლევდა ,ანგარიშს"
„ეროვნულ დემოკრატს"
ვერც სირცხვილს, ვერცა შიშს,
ვერცა რა სიწითლეს
ვერ ატყობ სახეში,
თუმც მსხვერპლი მრავალი

გაუბამს მახეში.
გუშინ რომ დროებით
ქურდობა დატია,
დღეს თუ მათ უჯერით,
ის „დემოკრატია“.
ყველანი ფეხების
ცერებზე დგებიან,
უხმობენ ამრჩევლებს
სადაც კი სწვდებიან.
პირობას, ფიცს სდებენ
„ჩვენ ვსჯობვართ ყველასო,
სხვებიდან ნუ ელით
ხსნასა და შველასო“.
მარა დღეს ყველა ეს
არ მიჩანს ჩირათა,
მე მხოლოთ ერთი რამ
მაქვს გასაკვირათა:
მუშებთან რა უნდა
სოლომონ ჭოჭუას?
(პროგრამა იმისი
ღორონთიმ დოჭყუას!).
—საწყალი მუშები,
საბრალო გლეხები,
ქვეითათ დადიან,
დაუცვდათ ფეხები.
ტრამვაის მოვაფენ
მთელ არე მარესო,
ეს რჩევა მუშებმა
თუ მოიხმარესო.
შავი ქვის მუშები
იხრჩობა მურითო,
ამ უსამართლობას
ვუყურებ შურითო.
ავაგებ აბანოს,
გაგირეცხთ საცვალსო,
დაენდვეთ გერებმა
თქვენს მამინაცვალსო!
—ღაღად ჰყო ჭოჭუამ
ეს „დეკლარაცია“.
(გაბედა, რადგანაც
რაინდი კაცია).
მუშებთან საერთო
რა ჰქონდა ჭოჭუას?!
ეშმაკმა წაიღოს.
„ღორონთიმ დოჭყუას“.
საბრალო სოლომონ,
ხმალს იქნევს ყუითა!..
მუშობა არ დადის
ჭოჭუას ჭკუითა.

—

მუშებმა იციან
ნომერი პირველი,
მათთან სხვა ვერ მივა
„მლოცველი—მწირველი“.
ნომერი პირველი
მხსნელია მშრომელთა,
მაშვრალთა აღდგომა
ჰწადიათ რომელთა,
ვინცა ხართ მუშების,
გლეხების პარტია,
რომელმაც რეჟიმი
ძველი კი დატია,—
პირველი ნომერი
არჩევნის ყუთისა
თავდებათ გიდგებათ
ბედნიერ წუთისა.

ბუტუნა.

რავნლუპრავიამ დამაქცია!

(გურული სცენა).

— გამარჯობა შენი ნიკოიავ!

— ღმერთმა გუუმარჯოს და კარქათ მიმყოფოს ჩემი გოგიეს თავი, რას შობი ძმაო გოგია, რავა ხარ, პატარე ვერ მეითქვი სული?

— ჩემი სულის თქმაი კაი შვილია! ბაღნები ქე წამართვეს ვაინში, ჭადი ნალიაში გამომელია და შიმშილი სტორეთ კარზე მადგანა. ქვეყანაზე რომ ასვარიე-დასვარიეა ამას შენც ქე ხედავ შენი კაი თვალებით. რაცხა ამ რეულუციეს იმედი მქონდა, მარა რავაც ვხედავ მაგის საქმეც გლახათაა. გუშხამ ბიჭო მიტინგზე ვიყავი, გამევიდენ ცოციალისტები, შედგენ ტრიბუნაზე და მოყვენ ქვეყნის ამბები. ერთმა იგიც კი თქვა, რომ თუ ჭკუით არ დავრჩით თავისუფლებას გამივეთხოვებითო, კონტრეულუციე დეიწყებაო.



ხანაგი, ახლად ციმბირიდან დაბრუნებული. ის ძლიერ გავლენიანი უნდა იყოს მუშათა შორის,

ვინაიდან ყოველგვარ მოლაპარაკების დროს მათ წარმომადგენლობას ეწეოდა.

უმთავრეს საჭირბოროტო საკითხს გაგრისათვის, როგორც სხვა ზღვის პირა ქალაქებისათვის, შეადგენს საკითხი ,,შავი ზღვის პირის რკინის გზისა''.

ამ გზის დამთავრებას ისე მოელის ყოველი მოქალაქე შავი ზღვის სანაპიროებისა, როგორც შაქარსა და პურს რიგის კუდში მდგომი. იქიდან მოელის იგი ყოველგვარ ბედნიერებას, ყოველნაირ სურსათს, სანოვაგეს, მიმოსვლის გაადვილებას, მაგრამ გზის შენების საქმე ერთობ კოჭლობს. მიზეზი ამისი არა ერთი და ორია. ყველა მათგანის აქ გარკვევა რასაკვირველია შეუძლებლათ მიგვაჩნია, მაგრამ რამდენადაც აღნიშნულ გზას საჩვენო ინტერესებიცა აქვს, იმდენათ უნდა შევეხოთ მას.

აი ეს სურათი, რომელიც შემთხვევით ხელთ ჩამივარდა გაგრაში ყოფნის დროს, თითქმის სრულად გამოსთქვამს საამშენებლო საქმეთა სირთულეს. ამ სურათმა ჩვენ მით უფრო დაგვაინტერესა, რომ მის ცენტრალურ ფიგურას, ე. ი. როგორც რუსები იტყვიან, მის ,,პირველ სკრიპკას'' წარმოადგენს ძვირფასი ამხანაგი და ჩვენი ძველი თანამშრომელი, აწ კომისარი საგანგებო ამიერ კავკასიის კომისარიატისა მენია ჩხიკვიშვილი.

ჩვეულებრივ მკითხველთათვის ერთობ ძნელი გასაგებია შინაარსი ზემორე აღნიშნული სურათისა, მაგრამ აქ, შავი ზღვის პირის რკინის გზაზე გარდა ტყვე ავსტრიელებისა თითქმის ყველა გაიგებს მის დიად მნიშვნელობას.

სხვათა შორის რკინის გზის შენებას ნებსით, თუ უნებლიეთ აბრკოლებდა ეგრეთ წოდებული „ფრანგთა საზოგადოება“, რომელსაც აღებული ჰქონია რამოდენიმე გვირაბის გაჭრა. დროთა ისეთი

— ხო მართლა ძმაო გოგია მაგას მეც ქე წავასწარი ყური. თუ გამართლდა ბიჭო დევილუპეთ კეკალი კაცი იგია, გუშხამ ჩემი ბალანე იწერებოდა კომიტეტობა ვიშონე, ჯამაგირიც ბეური მაქ და ნამესტნიკის კანცელარიაში ისე ვიარები, როგორც შენს ჯარგვალაშიო. დეილუპა მაშვინ ჩემი ბალანე და იგია.

— შენ ჩემო ნიკოია ბალანეს გეშინია, კომიტეტიაო; აბა ძმაო ჩემი საქმე თლა მომსპარა და იგია. ჩემი ქალი კომიტეტის თავჯდომარეა.

-- რას მიჩივი ბიჭო გოგია, რავა შენი ქალი, მართლა კომიტეტის თავმჯდომარეა?—აბა ძმაო გუშხამ კრება ყოფილიყო და სულ ერბაშათ იერჩიენ თურმე. მერ.ე არ იკითხავ რომელი პარტიის ყოფილა? იმ შეჩვენებულმა პარტია კი არა რომ გეკითხა შენ ბალნებში სერგიეა უფროსი თუ კოლიეო, ერსაათს იფიქრებდა და ახლა თურმე ცოციალ-რეულუციონერობს. თურმე იმ შეჩვენებულს უნდა ჩემი მამისისხლათ გაშენებული ბალი ქვეყანას გუუნაწილოს. იმას უნდა ქონდეს ვისაც მუშაობა შეუძლიაო და თუ ასეა პავლიე და იასონე თლა გადააბრუნებს ქვეყანას. დევილუპე კაცი და იგია. ჩემი ნაკვტავ-ნაწყტავი მიწა პავლია უხეფსუას უნდა ჩაუვარდეს ხელში?

— არა ძმაო ნიკოია, ახლა თვარ უშველეთ ქალებს დეილუპა საქმე იცოდე. წევიდენ ხელიდან და იგია. ვის ახსოვს ქმარი და ბალანე, სულ კრებაზე დაძუგავენ. დოუსტავლიენ ერთი პასუხი და სულ იმას იძახიენ: ძირს კაცები, მაღლა ქალებიო. კაი დავემართოს მარა თუ დიდხანს დარჩა ასე ხომ მომსპო და გამათავა. მადლობა ღმერთს, თურმე ყორიფელს მიესრება კაცი. სულ იმას იძახიენ: გუუმარჯოს ქალების თანასტოორობასო: მარა თანასტოორობას ვინ ჩივა რომ თლა არ გამსრესდეს.

— პა! პა! პა! პა! არ ვიცი ძმაო ნიკოია მართლაც ისე ეიშუენ თავი რომ აფერს არ გავს. დღეი ერთია და სამჯერ იარებიენ კრებაზე. გუშხამ უურჩევიენ ჩემი ქალი თავმჯდომარეთ, დოუცხიენ ტაში როგორც გინახავს კოხი; შეშინებულა პელაგიე და მას მერე ჭკუაზე არაა.

გუშხამ შვაგულ ძილში იყო ერთი იმფერი რუსული წრიხი კი მარტყა, რომ შით ღადარაში გამაგდენია ბრეგვა დევიქეცი კეკალი კაცი, ცხრაას ექვსში რეაქციამ დამაქცია და ახლა გონი რეულუცია მიპიროზს თლა მოსპობას. ქალი მეღუპება მარა რა ქალი.

გუშხამ გევიხედე ყანიდან მოვღრაკუნობ, საცხა ორი ძირი ტყეი გავახმე, დოუხსნიენ კრება და არის ერთი ასვარიე-დასვარიე ჩემი ქალის თავჯდომერეობით. აბა შენია სიტყვა აბა ჩემია — იძახიენ ასათიანის ბალნებსავით. ბოლოს ეილო სიტყვა ფატიამ და მისდგა ალათიას: შენ ამფერო, შენ იმფერო, შე ფრახო, და ვინ იცის კიდევ რა არ უძახა. უქურე, უყურე, მერე ვეღარ გოუძელ იგინის ლაპარაკს და წავბლაცუნდი სახში. აბა ხეფსი ვის და ხვდებოდა ძმაო შენც კი იცი.

არა ძმაო ნიკოია არც ისთე შტერი და ჩობანო ყაძახი ვარ, ზოგიერთს რომ გონია; მართალია ბევრი აფერი მისტავლია, გოგიე აბუსერიძის კლასი ძგულე გავათავე, მარა თუ ტრაბახობათ არ ჩამთვლით ზოგიერთ ნასტავლებს არ ჩამოვჩები; ბუნებით ნამდვილი ცოციალ-დემოკრატი ვარ, მარა აი ქალების რავნო პრავიე კი არ მომწონს და სხვაი შენ იცი.

არა ბიჭო გოგია! იგი ჩვენი ქალებია ასე თვარა ქალაქში სულ ნასტავლი და ჭკუიანი ქალებია...

— პა, პა, პა, პა! არ მოგატყუოს ვინმემ, იქინეც ქე ვყოფილვარ, მართალია იქანე ნასტავლი ქალები სულ ბეურია, მარა იგი სტავლა მარტო იმაში სჭირია ვინცხა გადარიოს. ქე ვიცი იგენის სეკრეტში ქე მიყურებია ძამია ქალაქშიც. ერთი გევიხედე და კონკაში ჩაფრენია ვინცხა ქალი ყაზახს. ვიფიქრე აქა საცხა სიყვარულ უხსნის მეთქინ; თურმე ძირს უნდა ჩამეითრიოს, შენ რავა შემასარი კონკაშიო. მერე იმისანე კი იყო იგი შეჩვენებული რომე, ხომ კაი ქალია ჩემი პელაგიე, მარა იმასან ნი პრიწ. აბა მუშტაიდში რომ შობიენ იგი ჩემმა ტერმა თქვა.

იქანე კრებაზეც ქე მიყურებია. რომ მოაწყობენ სომხის გიტარასავით მიდიენ და მიდიენ თოხარიკით, არც სიტყვის ნებას თხოულობენ და არც საქმისას.

ახლა ვინცხამ იგიც კი თქვა რომ იგი რაცხა დამფუძნებელი კრებაა იმაზე ქალებიც უნდა გუუშვათო. დევიქეცით და იგია. ჩემი ქალი თუ გუ

ეშმაკი პროვინციაში

მოგზაურობა, როგორც ასეთი

ამ მუხლში მინდა შევეხო მოგზაურობას, როგორც ასეთს.

უპირველეს ყოვლისა სიტყვა — „როგორც ასეთი“, უნდა გაიგოთ სხვა-გვარ და არა თითქო ისე, როგორაც მე ვიმოგზავრე.

ქართველი კაცის ბუნებაში ისე მჭიდროთ და ღრმათ არის ჩამჯდარი სიყვარული მოგზაურობისადმი, როგორც სიყვარული საზოგადოთ ყოველ გვარ საქმიანობისადმი. მე უტყუარი ცნობებით შემიძლია დავამტკიცო, რომ არ იქნება არც ერთი ჩვენი წარჩინებული მ. ღვაწე, რომელსაც მცხეთა არ ენახოს, თუნდაც მატარებლის ფანჯრიდან. ბევრს მათგანს უნახავს ქ. გორიც და ზაფხულობით სურამ-ბორჯომშიაც შეუვლია. ერთი სიტყვით, მოგზაურობა, ეს ქართველი მოღვაწის თანდაყოლილი თვისებაა და ალბათ ამით აიხსნება სიმრავლე ჩვენი სამშობლოს აწერილობათა. მისი რუქებისა და მხატრული გამოცემების სიმრავლე და სიმშვენიერე.

მეც, როგორც ქართველს, მუდამ ერთი მოუშორებელი აზრი მიტრიალებდა თავში: როგორმე მოგზაური გავმხდარიყავი და ამ დარგში მაინც თავი შესახელებია. მე რო ცხადში იმდენი მემოგზავრა, რამდენსაც სიზმარში ვიდოდი, მიზანი ჩემი მოღწეული იქნებოდა. მაგრამ გამოირკვა, რომ სიზმარში მოგზაურობა გაცილებით უფრო ადვილი მოსახერხებელია, უფრო ნაკლებ დროსა და ხარჯს თხოულობს, ვიდრე ცხადლივ მოგზაურობა. ამ გარემოებამ ერთობ მწარეთ ჩამაფიქრა და სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო.

—

ბლოკი აკაკი ჩხენკელთან.

ყველაფერს ბოლო აქვს ამ წუთისოფელში (გარდა თედო ღლონტის წერილებისა) და აი ჩემს ყოყმანსა და უიმედობას ბოლო მოეღო. ჩემს თანამშრომლებს მე ჯოხზე გადამჯდარი ვმოგზაურობ ჰგონიათ და მისაყვედურებენ რისთვის არ ვეწვევი ხოლმე ამა-თუ იმ სოფელს, ამა თუ იმ ხულიგანის გასასწორებლათ. ეს შეცდომაა. იყო დრო, როცა ჯოხზე გადამჯდარი დავნავარდობდი ჩემს ეზოში, (როგორც ახლა ფედერალისტები შვებიან საქართველოში) მაგრამ მას შემდეგ ერთობ დიდი ხანია.

ახლა მე სულ სხვა ხერხს მივმართე. ბლოკი შეეკარ ამ. აკაკი ჩხენკელთან. ჩვენ პირობა დავსდეთ ერთად ვიმოგზავროთ, ხოლო მოგზაურობის დროს გავინაწილოთ ფუქციები ამ გვარათ.

ა) აკაკი ჩხენკელი, როგორც წარმომადგენელი დროებით მთავრობისა, ვალდებულია მართოს კრებები, სიტყვები წარმოსთქვას აღნიშნულ კრებებზე, მიიღოს სხვა და სხვა დაწესებულებათა დელეგაციები, მიიღოს მთხოვნელები და პასუხი გასცეს მათ: მოარიგოს რევოლიუციონურ ორგანიზაციათა და უბრალო მომაკვდავთ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება; მიიღოს ღონის ძიებანი სამგზავრო საშუალებათა გამონახვის შესახებ და მოახდინოს გაკარგულებანი ამ მხრივ.

ბ) ჩემს მოვალეობას შეადგენს არცერთ ზემოხსენებულ საკითხთა გადაჭრაში არ ჩავერიო.

პირველ მოგზაურობაზე, რომლის შესახებაც მე მსურს ქვემორე თქვენთან ლაპარაკი, ჩვენ კონფლიქტი არ მოგვსვლია, (იმედია არც მომავალში მოგვივა) ვინაიდან ორივე მხარე პირნათლად ასრულებდა თავის წმინდა მოვალეობას.

მე თუ ჩავერევი მის საქმეში ეგ მხოლოდ და მხოლოდ სადილის დროს და აქაც ანსამბლს ვიკავ-

—


საერთო
მოხაზულობა
გზათა ეშმაკისათა
ნიშნები
ქალაქები
ბილიკები
ფოსტა-ტელეგრაფი
ფოსტა-ტელეფონი
ერთი ვერსი
შავი ზღვა
ბოსფორი
ბოსპორი
ბუგაზი
ბუგაზი
ბოსპორი
ბოსფორი
ბოსფორი
ბოსფ

ხოლომოს ათ საათზე ბათუმიდან ჩვენ ზღვაში შევცურდით და „დავწექით“ ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ნაღმოსანი, რომელმაც თავის გამურულ ზურგზე შეიხიზნა ჩვენი ჯგუფი, სახელად ერთობ „სასტიკ“ რასმე ატარებს. ზღვაზე ფურთქლი იყო, პატარა რკინის ვარცხლი ნაფოტივით ქანაობდა მის ტალღებზე. ზღვა, ეს ჩემი სტიქიაა: მიყვარს იგი მღელვარე და მრისხანე, როცა ნაპირის ქვაზე ვზივარ, ხოლო მიყვარს წყნარი და მდუმარე, როცა გემზე ვიმყოფები. თუ არა ვცდები ამხანაგი აკაკიც სავსებით იზიარებს ჩემს შეხედულებას ზღვათა შესახებ.

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მეზღვაურნი ერთობ გულზვიადნი და ამაყნი არიან. მათი აზრით ზღვაოსნობა მხოლოდ მეზღვაურმა იცის და აგრონომს, გინდ იუმორისტს, უკეთ ვსთქვათ ერისკაცს, მისი არაფერი გაეგება. ამას იგინი მართალია აშკარათ არ ამბობენ, მაგრამ მათ სახეზე დაუკვირვებელი თვალიც ამოიკითხავს პროფესიონალურ ამპარტავნობას. ამიტომ გადავწყვიტე პირველ შემთხვევისთანავე განმეფანტა მათი ილიუზიები და დავუწყე მუსაიფი.

— თქვენი გემი მხოლოდ ზღვათა ფარგლებში ცურაობს, ხმელეთი მას არ ეხერხება. წარმოვსთქვი მე და მეზღვაურის სახეზე შურის ღიმილმა გაირბინა.

— რასაკვირველია.

— და ეს იმიტომ, რომ რკინის გზა არ არის მისთვის მოხერხებული. ჩემის აზრით აშკარაა წყალი აბრკოლებს მის მოძრაობას, ვინაიდან წინ ელობება მას როგორც მასსა.

— დიახ, აბრკოლებს.

— ამ დაბრკოლებას სძლევს ორთქლის ძალა. ახირებული წინააღმდეგობაა: წყალი აბრკოლებს, წყალივე სძლევს დაბრკოლებას.

ეგ როგორ?

— სრულიად უბრალოთ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ორთქლი იგივე გამდნარი წყალია.

თითეული ჩემი სიტყვა მძიმე ჩაქუჩივით ეცემოდა მეზღვაურის თავმოყვარეობას და ამსხვრევდა მას.

— თუ არ საქვე, თქვენ რასაკვირველია არ შეგეძლოთ გემისათვის ამა თუ იმ მიმართულების მიცემა.

— დიახ, საჭეს სწორეთ ასეთი დანიშნულება აქვს,

— ზაფხულში ალბათ სიცხე გაწუხებთ და ზამთარში სიცივე.

— ჭეშმარიტი ბრძანებაა.

კიდევ ორიოდ მოსწრებული წინადადება და მეზღვაური თავაზიანი ბოდიშით მომშორდა. რაღაც საქმე მოიმიზეზა, მაგრამ მე ნათლად შევნიშნე მის სახეს უკმაყოფილების ნიშნები. ასე შურიანია ადამიანი! მას თითონ უნდა ყველაფერის მცოდნე და ყველაზე უკეთესი იყოს, ხოლო თუ შეეკამათე და აჯობე ის ჯავრით სკდება.

— —

გ ა გ რ ა.

15 ივლისს, დილის 8 საათზე ჩვენი გემი სამოთხის ნაპირს მიადგა. ამ სამოთხეს ადგილობრივი მცხოვრებნი გაგრას ეძახიან. რამოდენიმე მაღალსა და მწვანით შემოსილ მთას არხეინათ მოუკეცია ფეხები ანკარა ზღვის ნაპირას და ღიმილით იცქირებიან მის გულში. მათი ვიწრო კალთა, როგორც ფერადი აბრეშუმის ფართალი მოუქარგავს ათას გვარ უცხოსა და ჩვენებურ ყვავილებს, რომელთა ხელოვნური შეჯგუფება საოცნებოთ ეთანხმება თვით ბუნების ხელით ნამოქმედარს.

კმარა ეს გაგრის გარეგნობაზე. გაიგეს რა ჩვენი (ჩემი და აკაკის) მისვლა, ხალხმა თავი მოიყარა და დეპუტატის ირგვლივ მრავალრიცხოვანი წრე გაკეთდა. რასაკვირველია წარმოითქვა სიტყვა და გაისმა „ურა“.

(არ მაქვს უფლება დავმალო, რომ რუსის ხალხისა მე ყველაზე უფრო მომწონს „ურა“.)

ავედი მთის ძირით, ფერდობზე გაშენებულ შვენიერ სასტუმროში. ათასი ჯურის ხალხი, ათასი ჯურის ლაპარაკი. ყავის დალევაც ვერ მოვასწარით, რომ „აღმასრულებელი კომიტეტი“ უკვე შეკრებილი იყო და ამხანაგი აკაკი იმათთან სასაუბროთ გამართა.

მე აქ პირველათ შევნიშნე და გავიცანი ამ

უშუეს იქინე ყველაზე უწინ იყვირებს: გოგიას მიწა ჩამოართვით და ქვეყანას დუურიგოთო.

თუ ღმერთი არ აღირსებს თვარა დევიღუპეთ ქეჭელი კაცი და იგია.

გურული ბიჭი.



ფოთი.

(**ბუტუნას სააგენტო**).

საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობას იღებს: **6000 ამომრჩეველი**, 5 პარტია, 1 უპარტიო, 2 ადგილობრივი ქართული **გაზეთი**, (მოსალოდნელია კიდევ 3 გაზეთი), 6500 აგიტატორი, 606 გაზეთის დამტარებელი ქალი. 3 თვირალი პროვოკატორი, (მეგრელ გურულ ნაციათა შორის და რამდენიმე ყოფილი ოხრანიკი).

მოსალოდნელია დიდი ჯახი და მცირე შედეგი გარდა № 1 სა.

—

ჟურნალ-გაზეთების კიოსკს მოადგა დასარბევად ქართველი „რეზონიორები“. ბრძოლამ საათნახევარს გასტანა. კიოსკი ჯერ უვნებლათ გადარჩა. მიღებულია ზომები წესიერების აღსადგენად. დარბევის მიზანი სოც. დემოკრატობა აღმოჩნდა.

—

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში უკანასკნელ სხდომაზე უკანასკნელი „სპორტი“ გაიმართა. **„სპორტსმენები“**—სა—შვილი და ლ—ვა **ლორ და ლორ***) დარჩნენ.

*) ლორ და ლორ „ლათინურად“ ჭიდაობაში თანასწორობას ნიშნავს.

ლანჩხუთიდან ცნობა მივიღეთ, რომ ნათლისმცემლის ახალ სამკითხველოს გამგეობას ამ დღეებში ჭიდაობა გაუმართავს სამკითხველოს მატერიალურად მოღონიერების მიზნით. ჭიდაობა სამკითხველოს შენობის წინ მომხდარა. მოჭიდავეთ გამოსულან გამგეობის წევრები: სულიერი მოძღვარი მამა **ხომერიკი** და ხორციელი მოწაფე მისი ს. **ცინცაძე**. სეკუნდატებათ დასწრებიან მოქალაქენი **სირია ურუშაძე** და **ბათლომე გვარჯალაძე**. ჭიდაობა აზიურ ყაიდაზე მომხდარა. გამარჯვება პირველათ მამა ხომერიკს ხდომია წილად, მარა, ბოლოს და ბოლოს ცინცაძეს მოძღვრის გრძელი თმა უხელთებია და მოგვერდის უქნია სულიერი მამიზა რომელიც ყირაზე გადაუტანია ცინცაძეს. ჭიდაობას მაყურებლები საკმაოთ დასწრებიან, ხოლო შემოსავალი კი მოძღვრის ერთი მუჭა თმა და ცინცაძის პერანგის საკინძე დარჩენილა.

იქიდანვე. კოოპერატორ **გიორგაძის** გასამართლების გამო დიდ მწუხარებას განიცდიან კოოპერატივის ამხანაგობა, რადგან ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს გიორგაძე „მართლად“ უცვნია და საპატიო ადგილი მიუცია საგ. კავშირში, მარა ლანჩხუთელების „უმწეო“ მდგომარეობაში თვითონ გიორგაძე შესულა და საგუბერ. კავშირიდან გამოსულა თანაც გაზეთშიც ჩაუგდია ეს ამბავი და აცხადებს („ს. დე-ტი“ 30 V/II) „ცილის მწამებელ კომისიას შავ დღეს დავაყენებო“ ალბათ გიორგაძე კულაშელი ებრაელის და მიქელაძის „ცნობილ კანონით“ იხელმძღვანელებს.

იქიდანვე. რკინის გზის სადგურზე მისავალს, დასავლეთით მხრიდან, ადგილობრივ სადგურის უფროსს მოუწყვია „ოდე კოლონის“ ზოლდი, სადაც მგზავრები „იშვიათ“ სურნელებით სტკბებიან ბაქანზე სეირნობის დროს. ამ ადგილზე თურმე უწინ „ოტერქლოუზი“ იყო და ეხლა „პროგრესის“ ძალით ასეთი წინ სვლა მომხდარა, რაც ხსენებულ სადგურის უფროსს უნდა დაემადლოს.





რომ ყველა ჯამაგირის მომატებას თხოულობს და აი ინჟენერი კახანოვი, (თუ არა ვსცდები წარმომადგენელი ფრანგთა საზოგადოებისა) თხოულობს ფასის 300% გადიდებას. ამაზე არ თანხმდება რკინის გზის წარმომადგენელი ინჟენერი, (გვარი და-

მავიწყდა). და მოითხოვს ფრანგებისაგან საქმის ჩამორთმევას. უკანასკნელი ინჟენერის მხარს იჭერს შრომის კომისარი ბენიამენ ჩხიკვიშვილი. ამასვე მოითხოვს ქალბატონი „გზის ინტერესი“ც. ამიტომ საქმე სწყდება მათ სასარგებლოთ: ფრანგებს ჩამოერთვა იჯარა, რომელიც გადაეცემ უფრო მოსაქმე მოიჯარადრეს.

შემდგომად ამისა გაიმართა მუშათა მიტინგი, რომელზედაც აკაკი ჩხენკელმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა: ხალხმა ის ხელით მოიყვანა და ჩამოსვა ეტლში, რომლის დროს კინალამ ფეხი ატკინეს. მიტინგიდან ჩვენ „მუშათა და ჯარისკაცთა“ საბჭოს სხდომაზე მიგვიწვიეს. აქაც ხანგრძლივი მუსაიფი შეხვდა აკაკი ჩხენკელს.

დაახლოვებით ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ გაგრიდან ახალ გაგრაში გამოვემგზავრეთ. აქ უკვე საერთო საქმე გვქონდა გადასაწყვეტი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე სადილის საქმეში მეც ვიღებ ხოლმე მხურვალე მონაწილეობას. მეტადრე აქ ბ-ნმა შენგელიამ ისეთი საკითხები დაგვახვედრა გადასაწყვეტი, რომელიც მთელი ჩვენი ენერგიის მობილიზაციას მოითხოვდა.

წარმოითქვა რამდენიმე მგრძნობიარე სადღეგრძელო, (მათ შორის მეორე მე შემეხებოდა) რომლებშიაც გაშუქებულ იქმნა ამა თუ იმ მოღვაწეთა მნიშვნელობა. სიმორცხვე ნებას არ მაძლევს გავიმეორო აქ ყოველივე ის, რაიც მოღვაწეობისა ჩემის შესახებ ნადიმზე წარმოითქვა. ან კი რა მეჩქარება, მოვკვდები და ათასჯერ მეტს იტყვიან.

ნაშუადღევს გავემგზავრეთ ახალი გაგრიდან ბუდაუთისაკენ. რომ მკითხველისათვის გასაგები დარჩეს არე ჩემი მოგზაურობისა, უმორჩილესად ვსთხოვ გადახედოს ქვემორე ამისა მოთავსებულ რუქას.



მშვენიერი საეტლე გზა თითქმის გვერდით მისდევს სარკინის გზა ლიანდაგს. ირგვლივ მწვანე, ტროპიკული მცენარეებით შემოსილი ბაღები და მშვენიერი მთები.

მდინარე გზიბი, ეს უდიდესი მდინარეა ამ რაიონისა. დღეს დღეობით იგი საზღვრავს ახალ-შობილ გაგრის ოლქს სოხუმის ოლქისაგან. მდინარის პირად გაშენებულია კარგა მოზრდილი სოფელი **კალდახვარა**. აქედან გზა მთიან ადგილებში ადის გადაივლის სოფელ **ბირმიშზე**, **ჩუბურხვაზე**, **ზვანდრიპშზე** და შედის დიდ სოფელ **ლიხნში**. გზა და გზა ჩვენი ყურადღება მიიპყრო წვრილ-ფოთლოვან პურეულმა მცენარემ. ის უხვად იყო ნათესი გზის ორივე მხარეზე. მე, როგორც აგრონომი, საგონებელში ჩამაგდო ამ უცხო მცენარემ. ის ძლიერ ჩამოჰგავდა სიმინდს, მაგრამ სრულიად არა ჰგავდა მას. გამოირკვა რომ წინა დღით ჩამოევლო სეტყვას და მშვენიერი ყანები სიმინდისა ასე უცნაურად გადაესხვაფერებია. დეპუტატი ჩხენკელი ერთობ დაალონა ამ გარემოებამ, თუმცა სასიხარულოდ არც მე დამრჩენია.

სოფ. **ლიხნი** დიდი და მდიდარი უნდა იყოს. განსაკუთრებული ყურადღება ჩემი აკაკიმ ლიხნის მონასტერს მიაპყრო. მართლა მშვენიერ ალაგას არის იგი აშენებული. ლიხნი გუდაუთის შესავალია. ამგვარად საღამო ხანს ჩვენ უკვე გუდაუთში ვიყავით, სადაც სასტუმრო „რუსეთს“ შევეხიზნეთ.

გუდაუთი კარგა მოზრდილი და ლამაზი დაბა ყოფილა, რომელმაც ამ რევოლიუციის დროს მიიღო აღმატება და ქალაქის საფეხურზე შედგა. ჩვენ უკვე დაგვიხვდა გაკიდული საარჩევნო რეკლამები, რომლებიც მოუწოდებდნენ მოქალაქეთ ხმის სოციალ დემოკრატიისათვის მიცემას.

სასტუმროს წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება, მაშხალებით ხელში, რომელსაც აკაკი ჩხენკელმა ვრცელი სიტყვით მიმართა. მიტინგიდან ხალხი „თავისუფლების მოედნისაკენ“ გაემართა, სადაც წარმოითქვა საარჩევნო სიტყვები.

აკაკის წარუდგა უბნის კომისარი ამხ. ლაკობა,

რომლის სურათის გადაღება ვერას გზით ვერ მოვახერხე, სიბნელისა და სიძნელის გამო. როგორც გადმომცეს უბნის შავ ძალებს მისი მიზეზით ციება აღარ შეეყრებათ ისე ჰყოლია დაშინებული. თავის თავად ის საშიშარს თითქმის არაფერს არ წარმოადგენს. მეორე დილით (ღამე არ მინდა გავიხსენო, ვინაიდან სასტუმროში თაგვმა ფეხსაცმელები დამიხრა) მიმოვიარე ქალაქში; დავათვალიერე ბაღი და ზღვის პირები. ამ. ჩხენკელი კი კვლავ ემუსაიფებოდა სხვა და სხვა დეპუტაციებს.

დილის 11 საათი იქნებოდა, როცა დავუტოვვეთ ბედნიერი გუთაუთი და სოხუმისაკენ გამოეგმართეთ.

(შემდეგი დღეისწორს) **ეშმაკი.**

ფედერალისტების „სარევოლიუციო“ კლუბი.

წინა კვირას სხვა და სხვა „საეშმაკო“ მონდობილობით ლეჩხუმში მოგზაურობა მომიხდა. ერთი ღამე დ. ლაილაშში გავათიე. საღამო ჟამი იყო. ბაზარი ხალხით გაჭედილი. აქა-იქ შეჯგუფული წრეები რაღაცაზე ცხარეთ კამათობდენ.

— მებრალებით, ძმანო და თანამემამულე გლეხნო, — უხსნიდა შავგვრემანი ორატორი იქ მდგომთ, — რომ თქვენ ვერ გაგიგიათ სოც.-დემოკრატების ვერაგობა: იმათ თქვენი გაღატაკება უნდათ, ისინი სამშობლოს მტრები არიან.

— მერე რა ღმერთი გაუწყრათ, ბიძია, რომ თორმეტი წლის განმავლობაში ერთი გლეხიც ვერ გაალატაკეს! შენ ეს მითხარი, შენი პარტია ამდიდრებს გლეხებს? — შეეპასუხა იქ მდგომი ხანში შესული გლეხი.

— დიახ, მამულის შვილო, ამდიდრებს! მთელი მიწა მშრომელი ხალხის ხელში უნდა გადავიდეს, მიწაზე საკუთრება უნდა მოისპოს და ვისაც რამდენი უნდა, იმდენი უნდა დაამუშაოს, სადაც უნდა და როგორც უნდა.

— შე დალოცვილო, — ჩაერია მეორე გლეხი: ორი ნაჭერი ვენახი ვაი-უბედურებით გამიკეთებია, აქედან ველი აშენებას და შენ მეუბნები მიწაზე საკუთრება უნდა მოისპოსო და სადაც გინდა, რამდენიც გინდა, იმდენი მიწა გექნებაო. აი, ეს არის მართლაც მატყუარობა. (შეიქნა ჩოჩქოლი. ხმები ისმის: „არ გვინდა ასეთი პარტია, მოგვშორდით თავიდანო“ და სხვ.).

მე ამ ჯგუფს გავშორდი და მეორე ჯგუფის კამათს მივაქციე ყურადღება.

— ნახავთ თქვენს თვალის სეირს, რომ სოც.-დემოკრატები ყველას გაგალატაკებენ და მაშინ გახსენდებათ ფედერალისტების „სარევოლიუციო“ პარტია, მაგრამ მაშინ გვიან იქნება, — ნიშნგებით ლაპარაკობდა მეორე ჯგუფში მდგომი ქერა სტუდენტი.

— აი, როცა სოც.-დემოკრატები გაგვალატაკებენ, — შეეკამათა ერთი გლეხთაგანი, — მაშინ თქვენთან მოვალთ და თქვენ გაგვამდიდრეთ! (ასტყდება საერთო სიცილი).

— დედა არ მომიკვდეს თქვენ არაფერში შესაბრალისი არ იყოთ... თქვენ უგუნურები ხართ... — გაწყრა ქერა სტუდენტი.

— სწორეთ ასე გვეუბნებოდენ, ყმაწვილო, თქვენი წინაპრები: „თქვენ არაფერში დასაზოგავი არა ხართო“. ნუ თუ იმათაც ვებრალებოდით? მართლაც უგუნუ ები ვართ, რომ თქვენ ყურს გიგდებთ! — შენიშნა მეორე გლეხმა.

— რა უ უყყოთ მერრრე! — წაექომაგა ქერა სტუდენტს ელამი სტუდენტი, — იმათ იიის დრრრო ქონდათ და ჩვეეენ კიიი სტუდენტეეები ვარრრთ, განააათლებუუული..

— რას ეჩიჩინებით ამათ, ამფხანაკებო, წავიდეთ ჩვენს „სარევოლიუციო“ კლუბში, გვიცდიან, — გააწყვეტინა სიტყვა ალექსანდრემ.

ისმის ხმები: „სარევოლიუციო“ კლუბში წადით, თორემ მუშებით გაჭედილი არ დაგხვდეთ!“ ასტყდება სიცილ-ხარხარი. ცოტა ხნის შემდეგ შებინდდა, ხალხი წავიდ-წამოვიდა.

მე ჩემს ნაცნობს ვსთხოვე ესწავლებინა ფედერალისტთა „სარევოლიუციო“ კლუბის ბინა. ამხანაგმა მალე ამისრულა თხოვნა. კლუბი მართლაც მშვენიერი აღმოჩნდა. იგი განათებული იყო. შორიდანვე შემომესმა მხიარული სიცილ-კასკასი. აივანში ავედი და გაღებულ ფანჯარას მიუჯექი, საიდანაც ყველაფერს კარგათ ვხედავდი და ვისმენდი. ფედერალისტების კლუბი მართლაც „სარევოლიუციო“ აღმოჩნდა. მხიარულათ საუბრობდენ ხუთიოდ სტუდენტი, ხუთიოდ მასწავლებელი, ხუთიოდ ჯერ კიდევ გადაუყენებელი „კაკარდოსნები“, ხუთიოდ მოძღვარი, ხუთიოდ ფოფოდია, ოცდახუთიოდე ბარიშნა-ბანოვან-მანდილოსნები, ერთიოდე ალექსანდრე, ერთიოდეც გრიშა და, კარგათ არ მახსოვს, მგონი ხუთიოდე ორ-სკამზე მჯდომი ყალთაბანდი მიკიტან-ვაჭარი. ვიღაცამ ნაზის ხმით დაიწკრიალა: „შორის გზიდან სატრფოს ველი“, შორიდან მოისმა მძლავრი სიმღერა ახალგაზრდებისა: „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს“... „სარევოლიუციო“ კლუბი თითქოს შეკრთა.

— გაგიხმათ თავები, რავა ბღავიან! ფუი, очен нужна! — უკმაყოფილოთ წამოიძახა ცაცუნიამ.

— კვლავ წინანდებურათ აიშვეს თავი და მრწამს, წინანდებურათვე დამარცხდებიან... ბრბო! —დაამატა ერთმა ბანოვანმა.

— Терпѣт не могу, კუკლიკა არ მომიკვდეს! რა ხალხია?—მოუთმენლათ წარმოსთქვა მარუსიამ,—მე ჩემი ქვეყანა მიყვარს, ჩემი ქვეყანა მრწამს, ჩემი ქვეყნისათვის ვიბრძვი, ჩემი, ჩემი...

— კაი, ქალო, ნუ გადირევი, ხელს ნუ გადაყობი და არაფერი მინდა შენი,—გააწყვეტინა სიტყვა ალიოშამ.

— ამხანიკებო, მარუსია სრულ ჭეშმარიტებას ამბობს,—წაექომაგა ალექსანდრე,—ჩვენ ჩვენი ქვეყნისთვის უნდა ვიბრძოლოთ, და მისთვისაც ვართ ,,სარევოლიუციო'' პარტიის წევრები. მართალია მე ერთ დროს პოლიციელი ვიყავი ,,სისკნოიში'', მარა ისენი მე ყოველთვის მძულდა და მიტომაც ათასიოდე მანეთი შეუჭამე ძველ რეჟიმს და თუმცა ამისთვის ციხეში ჩამაჯდინეს, მარა რა უყოთ, ,,რევოლიუციონერს'' მაშინ ყველას ატუსაღებდენ, ამით ვამაყობ მეც (ფიცხელი ტაშის ცემა).

— უი, რა კარგია, რა ლამაზია!—წასჩურჩულა ერთმა ბარიშნათაგანმა მეორეს.

— ამას მეორე სტუტენტი ჯობს,—შენიშნა მეორე ბარიშნამ.

— ყმაწვილებო,—მიმართა მიხამ იქ დამსწრეთ,—ჯერ უსურვოთ ჩვენს სამშობლოს დღეგრძელობა... ბლოვს ბერდიაი, ხინჩლაი, რონეს შეყრილან სმაზედა...

— ბრავო, ვაშა, მიხა!—შესძახა სტუდენტმა გიგამ,—რაც უნდა იყოს მიქაძე სჯობს კორძაიასო, მართალი ნათქვამია, დედა არ მომიკვდეს.

— შშშთამამააავლოოობას დიიიდიიი მნიშვნეეელოოობა აქვვვსსს ადამიიიანიიისსს ტვიიინიიის კოოოლოოოფზეეე,—წარმოსთქვა ელამმა სტუდენტმა.

— მერე შენზე ვერაფერმა ვერ იმოქმედა?—შენიშნა ცაცუნიამ. (სიცილი).

— არრრ მოოოგწოონხარ თუუუ?

— Очен нужна...

— დემოკრატებმა პარტიაში არ ჩაამწერეს,—განაცხადა ერთმა ბარიშნამ,—ოცი წლის ვერ ხარო და...

— უი, იქინე მაინც არ ჩავეწერები, რომ... очен нужна... რას გავენ, დაძონძილ-დაკონკილები,—ჩაერია ცაცუნია.

— რა ვქნა, კუკლიკა არ მომიკვდეს, ვსწუხვარ, მარა რაცხა ვერ ურიგდები იმათ საქციელს, სიბინძურეს, მუსაიფს, ზრდილობას,—დაუმატა მარუსიამ,—ამხანაგო, ამხანაგო—გაიძახიან; რის ამხანაგო, რა ამხანაგო, მიდღემჩი ტკბილეულობა არ უჭამიათ... нѣт, нѣт, они не поимут нас, а мы их...

— რას ბოდავ, ქალო, ჩემიანი, ქართველები, ქართველებიო, რომ გაიძახი, განა ისენი ქართველები არ არიან?—შენიშნა ალიოშამ.

— ქართველი ყველა ერთი კი არ არის... აბა ისენი ინტელიგენტები არიან? არაფერი არ გაგეგება და ისე говориш, молчи пожалуиста...

— მართლაც ვერაფერი გამიგია... (ამთქნარებს).

— დიდი გიორგი ზდანოვიჩი თუ ქართველი არაა,—თავ-მოწონებით წარმოსთქვა ერთმა ბანოვანმა,—ფრიადა ჰგავს ბექოს, ხვთისოს, ილიას, დიმიტრიას და თუ გნებავთ იმათ მეთაურებს, და...

— გიორგის იცნობთ? კარგათ იცნობთ გიორგის? ახლო ნაცნობია გიორგი?—ერთხმათ შეეკითხენ სტუდენტები ბანოვანს.

— რასაკვირველია, რომ ვიცნობთ!—ამაყათ უპასუხა ბანოვანმა,—გიორგი, კიტა და იაზონი დიდი ხანია, რომ მწრთვნიან, მავარჯიშებენ, მათამამებენ და ამიტომაც გახლავთ, რომ ჩემი „სტატიები" ხშირად იბეჭდება ,,მეგობარში''.

— Вот как!.. დიდებულია! замечательно! восхитттиттттельно!—აღფრთოვანებით წარმოსთქვეს სტუდენტებმა.

— დევიწვი, დევიხრაკე, ბიჭო...—წასჩურჩულა შავგვრემანმა სტუდენტმა ქერას.

— ტყვილა ნუ იწვი... მაგან ბევრი შენისთანა დაადნო, მარა...—შენიშნა ქერა სტუდენტმა.

— ბატონებო, თქვენ ეს მიბრძანეთ, დრამის და ავტოკეფალობის საქმე როგორ იქნება?—ჩაერია ვანო ხუცესი.

— მამაო, რა დროს დრამაა,—უპასუხა ქერა სტუდენტმა,—ეხლა რევოლიუციაა და ამას უნდა ვეწირებოდეთ. ხომ ხედავ ფედერალისტთა ,,სარევოლიუციო'' პარტიას რამდენი საქმე აქვს.

— ხუცესო, ესენი არაა ჩვენი საქმე, წავი-

დეთ,—წასჩურჩულა ერთმა ფოფოდიამ და თან მკლავში ხელი გაუყარა).

— ესენი, აბა შენმა სიცოცხლემ დემოკრატებია ჩვენი საქმე და კაი დღესაც დაგაყენებენ,— შეუტია ხუცესმა.

— გაიგონეთ, იმ ურიამ დღეს რა მითხრა: შენისთანა მექრთამე არავინ ყოფილაო,—მოახსენა ალექსანდრემ კრებას.

— ისეც გავიგონე, რომ არ გვინდებხართო. —დაამატა მიხამ, — მარა რა უყოთ. ყმაწვილებო, ჯერ უსურვოთ...

— მომიტევეთ, მომიტევეთ, простите но это не так...—შეაწყვეტინა არსენმა.

— მოვა დრო და ჩვენს ქუჩაზედაც ინათლებს!—იმედიანათ წარმოსთქვა ვარლამმა.

— გენაცვალე, რა კარგია! მე არავისი არ მეშინია, რა უყოთ მერე,—დაემოწმა ცაცუნია.

— მამა არ მომიკვდეს, აქ ყოფნას არაფერი ჯობია,—დაამატა ღიმ მორეულმა ქერა ბარიშნამ: შეხედე იმ სუტენტს, რა თვალები აქვს.

— უი, მე აბა ის უფრო მომწონს, ის გაბუნდულებული რომაა, ხა, ხა, ხა!—გადიკასკასა ტანწვრილა ბარიშნამ და თან თვალებზე ხელი მიიფარა!

— რას იფარებ თვალებზე ხელს, რაის გრცხვენია? სიყვარული სირცხვილია? очен нужна!

— ჩვენთვის არავინ რჩება! —უთხრეს დაღონებულმა ორმა ბარიშნამ ერთმანეთს.

მიხა, არსენი, ალექსანდრე, ორი ხუცესი და ზოგიერთი ხნიერი გასათხოვარ-გათხოვილნი ზოგნი თვლემენ და ზოგი უკვე ხვრინავს. სტუდენტები, ბანოვანნი, ვარლამი, ცაცუნია და რამოდენიმე ბარიშნა ერთი-მეორეს ემასხრებიან, იცინიან, ღლაბუცობენ. ამ დროს შემოვა ,,სარევოლიუციო'' პარტიის წითელი მილიციონერი გრიშა და ერთს სტუდენტს ჯიბიდან საფულეს ამოაცლის. შეიქნება ჩოჩქოლი.

— ამხანაგებო,—განუმარტა გრიშამ,—მე ეს განგებ კი არ მიქნია, ჩვეულებათ მაქვს, რომ უსათუოთ რაც სხვის ჯიბაშია, ის ჩემს ჯიბაში უნდა გადმოვასახლო, აბა!

— რა უყოთ, ამხანაგებო! მაგი კლეპტომანი ყოფილა და, დედა არ მომიკვდეს, სირცხვილი არ იყოს,—წაეხმარა სტუდენტი გიგა.

ამ დროს შემოდის არღნითა და ღვინით ხელში ,,სარევოლიუციო'' პარტიის ,,კომისარი'' ვასო, რომელიც მღერის: ,,ეგ არის რომ მომაგონებს ჩემს სამშობლოს დაჩაგრულსა''.

— ეხ, მეზურნე დაჰკა, დაჰკა, ბლოვს ბერდია!—შეჰყვირა მიხამ და ზეზე წამოვარდა.

— მომიტევეთ, простите,—ჩაერია არსენა.

— ვარლამს აკლია დიდი სტაქანი,—შენიშნა ალექსანდრემ.

— არა გრცხვენიათ, რას შვრებით,—შეუტია უკმაყოფილო ბანოვანმა.

— შე დალოცვილო ყველა გიორგი და კატა კი არა ვართ,—უპასუხა ალექსანდრემ.

,,სარევოლიუციო'' კრება თანდათან იშლება. ერთი ჯგუფი ღვინის გარშემო იყრის თავს, ხუცები და ფოფოდიები უკმაყოფილოთ გარბიან, ვაჟრის ცოლები ზანტათ მიიზლაზნებიან. სტუდენტები, ბანოვანნი, ცაცუნია და სამიოდ ბარიშნა მკლავი-მკლავში გაყრილნი მიბარბაცებენ. მთვარიან ღამეს განცვიფრებაში მოყავს ისინი. ალიოშა და მარუსია ცხარე კამათით აფთიაქისკენ მიისწრაფიან. ,,სარევოლიუციო'' პარტიის ,,რევოლიუცია'' ამ საღამოს ზემოთ ნათქვამით თავდება. შორიდან კი მჭექარა სიმღერის ხმა მოისმის: ,,ზიზღით უცქერით ჩვენ ოქროს კერპებს, მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი''.

მხიარულათ მოლაზღანდარე სტუდენტ ბარიშნებს თვალი გავაყოლე და დაღონებულმა წამოვიძახე: O, tempora! O, mores!..

უჩინმაჩინი.

რედაქტორი **ეშმაკი**, სტამბა **ვ. რუხაძისა**, გაბაევის № 1